თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## გერგეტის სამება მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ეკლესიების სიაში მოხვდა

იხილეთ მე-6 გვერდზე

№4 (731) 20 აპრილი - 3 მაისი, 2015 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

# გენოციდი ხალიფატის სახელით...

**ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთი ქრისტიანი სარწმუნოების გამო მოკლეს, მათ შორის ქალები და ბავშვები. თანაც, ამ საშინელების ამსახველი ვიდეოები სოციალური ქსელით გაავრცელეს, რაც ნამდვილი შოკი იყო განვითარებული და ადამიანის უფლებებზე მოღაღადე დასავლური საზოგადოებისათვის.**

„თავს აჭრიან, წვავენ, აწამებენ ბავშვებს, დიდებს, ყველას, რადგან ისინი არიან ქრისტიანები. თუმცა კლავენ არამარტო ასურელ ქრისტიანებს, არამედ ყველას, ვინც მათ არ ემორჩილება. ისინი თხოვენ მათ სარწმუნოების შეცვლას. ეს არის ვიდეოები, სადაც ბავშვებს აჭრიან თავს, ცემენ, წვავენ, უკლავენ ოჯახის წევრებს. რელიგიური წმენდა მიმდინარეობს სირიაში,“ — განაცხადა მამა სერაფიმემ, რომელიც ცამეტი ასურელი მამის ეკლესიის წინამძღვარია და წარმოშობით ასურელია.

საქართველოში ასურელების (იგივე ასირიელების) მცირე ნაწილი უკვე საუკუნეზე მეტია, ცხოვრობს. ისინი ხშირად უკავშირდებიან თავიანთ მოძმეებს სირიასა და ერაყში. როგორც მამა სერაფიმე ამბობს, ასურელი ქრისტიანები მსოფლიოსგან დღეს დახმარებას ითხოვენ.

„სირიასა და ერაყში ძალიან მძიმე ვითარებაა, ფაქტობრივად, სახეზეა რელიგიური დაპირისპირება. ამ ორ ქვეყანაში ცხოვრობენ ე.წ. ძველი აღმოსავლური ეკლესიების წარმომადგენლები — სირიელი ქრისტიანები, ერაყელი ქრისტიანები და იეზიდები. ისინი ითვლებიან ყველაზე მოწყვლად ნაწილად ახლო აღმოსავლეთში. ჩვენ სახეზე გვაქვს მათი გეგმაზომიერი განადგურება. საქართველოს ხელისუფლება, ქართველი ხალხი, ყველანი ერთად უნდა ვიყოთ ამ საქმეში“ — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გუბაზ სანიკიძემ პლენარულ სხდომაზე. ვიცე-სპიკერმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ „ცოტა მეტი იფიქროს“ ამ ადამიანებზე და საქართველო ჩაერთოს ჰუმანიტარულ პროცესებში.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ირინე სახელაშვილი:

## „ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და გამომდის: ვსწავლობ და ვასწავლი!“

იხილეთ მე-5 გვერდზე

## ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ზაზა ხატიაშვილის, საგანგებო განცხადება

იხილეთ მე-6 გვერდზე

იხილეთ მე-5 გვერდზე

## გაზეთ „P.S.“-ის პრაქტიკული ჟურნალისტიკის მედია-ლაბორატორია სტაჟირებას აცხადებს!

იხილეთ მე-6 გვერდზე

## რამდენი დღის ცენტრი ექნება ხარაგაულს?

იხილეთ მე-2 გვერდზე

## იპოთეკური სესხით დაზარალებული დევნილთა ოჯახები სახელმწიფოსგან 20000 ლარს მიიღებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

სიტყვას ითხოვს მკითხველი

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს

იხილეთ მე-7 გვერდზე

## მაღალმთიან რეგიონებში ოჯახის შექმნას სახელმწიფო 10 000 ლარით წაახალისებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

## საქართველო C ჰეპატიტის გარეშე

იხილეთ მე-3 გვერდზე

## ფონდი „ქართუ“ ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნის მომხრეებს პასუხობს

იხილეთ მე-6 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

## იპოთეკური სესხით დაზარალებული დევნილთა ოჯახები სახელმწიფოსგან 20000 ლარს მიიღებენ

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს:**

დევნილი ოჯახებისათვის იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე განაცხადების მიღება 2015 წლის 14 აპრილიდან დაიწყო და 2015 წლის 1 მაისამდე გაგრძელდება. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებსაც 2015 წლის პირველ იანვრამდე, იპოთეკური სესხით შეძენილი აქვთ საცხოვრებელი სახლი/ბინა და აღნიშნული წარმოადგენს ოჯახის ერთადერთ ფაქტიურ საცხოვრებელს. იპოთეკური სესხის დაფარვისათვის, ფულადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა ერთ დევნილ ოჯახზე არის არაუმეტეს 20 000 ლარი. დევნილი ოჯახების შერჩევა, რომლებსაც სამინისტრო იპოთეკურ სესხს დაუფარავს, №320 ბრძანების შესაბამისად, სოციალური კრიტერიუმების მიხედვით მოხდება. იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე მიღებულ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულება;

ბ) იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაბამისი საფინანსო დაწესებულებიდან უფლებამოსილი პირის დამოწმებით გაცემული ამონაწერი გადახდილი და გადასახდელი თანხის ოდენობის თაობაზე;

გ) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ამონაწერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების განცხადებლის საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე, რომელშიც ასახული უნდა იყოს იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იპოთეკის ვალდებულება.

**განაცხადები მიიღება შემდეგ მისამართებზე:**

თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №16
ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87
ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზ. №27
რუსთავი, ვახუშტის ქ. №8
გორი, შმაგის ქ. №1

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

# რამდენი დღის ცენტრი ექნება ხარაგაულს?

ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების მიხედვით საქართველომ უნდა მოახერხოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის გარემოს ადაპტირება, მისცეს შშმ პირებს თვითრეალიზაციის საშუალება, ამ ყველაფრისათვის ყველაზე მეტად საჭიროა ე.წ. დღის ცენტრების და სოციალური საწარმოების სრულფასოვანი მუშაობა. სწორედ დღის ცენტრებმა უნდა მოახერხოს არასრულწლოვან ბენეფიციართა რეაბილიტაცია, აბილიტაცია და არაფორმალური განათლება. ცალკე საკითხია სოციალური წარმოება და მეურნეობა. უკვე ბევრ მუნიციპალიტეტში მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული დღის ცენტრები. არსებობს რეგიონები, სადაც ამგვარი ტიპის ორგანიზაციები არ არსებობს და შშმ პირები რჩებიან ყველა იმ სერვისის გარეშე, რომელსაც სახელმწიფო ვაუჩერულად აფინანსებს.

როცა სახალხო დამცველის წარმომადგენლის (ნათია ფირაშვილი) წინაშე დავსვით კითხვა, რატომ არ ახორციელებს თავად სახელმწიფო დღის ცენტრების პროგრამას, მისგან მივიღეთ ასეთი პასუხი: დღის ცენტრის მომსახურებას ყველა განვითარებულ ქვეყანაში ახორციელებს არასამთავრობო სექტორი, რომელსაც მხარს უჭერს სახელმწიფო.

დღის ცენტრების ჩამოყალიბების ინიციატორი, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოში „პირველი ნაბიჯი" იყო. რადგან „პირველი ნაბიჯი" მხოლოდ დიდ ქალაქებში ამუშავებდა დღის ცენტრებს, ამიტომ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა ყველაზე გაუხმაურებელმა და უპრეტენზიო ადამიანმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მხარდამჭერი ორგანიზაციის დამფუძნებელმა, მაგდა ყურაშვილმა, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში მოძებნა აქტიური ადამიანები, რომლებიც ამ საკითხს მიხედავდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი მაგდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიდიოდა და სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანებს ეხმარებოდა (მათ შორის, ისეთ ადგილებში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობისა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლებიც არ ყოფილან).

მაგდა ყურაშვილის და მისი მეგობრების დახმარებით დღის ცენტრი ჩამოყალიბდა საჩხერეში და უკვე ფუნქციონირებს, დაიწყო ხონში, ხარაგაულში, ტყიბულსა და ჭიათურაში ცენტრების ჩამოყალიბების პირველი ეტაპები.

ერთი იმ მუნიციპალიტეტთაგანი, სადაც მაგდა ყურაშვილის სურვილი იყო, რომ გაკეთებულიყო დღის ცენტრი, აღმოჩნდა ხარაგაული. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ხარაგაულსა და ტყიბულს ერთ დღეს ეწვია ქალბატონი მაგდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ისაუბრა ამ თემაზე და თავის მხრივ რამდენიმე ათასიანი დახმარების პარალელურად სთხოვა თვითმმართველობებს, რომ მხარი დაეჭირათ შშმ პირთა პრობლემების აღმოფხვრაში. ხარაგაულში ჩამოყალიბდა ააიპ „ნაბიჯი ხარაგაული", რომლის დამფუძნებელმა რუსუდან გურგენიძემ ჩვენთან საუბარში დღის ცენტრის აუცილებლობაზე ასეთი რამ გვითხრა: **„ხარაგაულში დღის ცენტრის გახსნა აუცილებელია. მუნიციპალიტეტში 70-ზე მეტი სხვადასხვა შეზღუდვის 18 წლამდე ბენეფიციარია. ბენეფიციარების ნაწილი სარგებლობს ზესტაფონში მოქმედი დღის ცენტრ „ორიონის" მომსახურებით, თუმცა ბენეფიციართა დიდ ნაწილს ხარაგაულის გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამის საშუალებაც არ აქვთ. თუ გავითვალისწინებთ ხარაგაულის გეოგრაფიულ მდებარეობას, საუკეთესო გამოსავალია რამდენიმე დღის ცენტრის გახსნა, რათა ეს ბავშვები არ დარჩნენ შესაბამისი სერვისების მიწოდების გარეშე."**

როგორც აღმოჩნდა, მოკლე ხანში „ნაბიჯი ხარაგაულის" მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება გადაწყდა მუნიციპალიტეტში. ამ შემთხვევაში სსიპ ბორის საჯარო სკოლამ (უფროსწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სკოლის დირექტორმა), რომელიც პანსიონურ მომსახურებასაც ახორციელებს, გამოთქვა სურვილი, რომ ბორში ჩამოყალიბებულიყო დღის ცენტრი. ამ აზრს ეწინააღმდეგება „ნაბიჯი ხარაგაული": **„ბორის სკოლა-პანსიონში არ მიმაჩნია მიზანშეწონილად დღის ცენტრის გახსნა იმიტომ, რომ ბორი 10 კილომეტრითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრს. მიმდებარე სოფლებში მხოლოდ 10-მდე ბენეფიციარია. მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებიდან ბავშვების მოყვანა აქ რთული იქნება, თუმცა როგორც კულუარული ინფორმაცია მაქვს, ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ამ ბავშვებს იქ ღამეც დატოვებენ, თუ მშობლების სურვილი იქნება. ეს კი უკვე დღის ცენტრი აღარ იქნება და მას სხვა სტანდარტები სჭირდება".**

„ნაბიჯი ხარაგაულის" წინააღმდეგობისგან განსხვავებით, ბორის სკოლაში დღის ცენტრის გახსნას მხარს უჭერს გამგეობა და ფინანსური დახმარებაც სოლიდური ოდენობით გამოიძებნა მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ჩვენ ინფორმაცია მოგვაწოდა ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორმა, ბატონმა ჰამლეტ ბერაძემ: „სკოლაში პანსიონური მომსახურეობით სარგებლობს 20 ბავშვი, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები, ლტოლვილები და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის შვილები. დღევანდელი მონაცემებით სკოლაში სწავლობს 115 მოსწავლე და სკოლამდელი ასაკის 28 ბავშვი... სკოლა ფინანსდება, როგორც საჯარო სკოლა, ცენტრალური ბიუჯეტიდან ვაუჩერულად. აღნიშნული თანხები მთლიანად ხმარდება სკოლაში პედაგოგების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასებს და სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. პანსიონი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და აღნიშნული თანხის 90 პროცენტი ხმარდება პანსიონის თანამშრომელთა ხელფასებს, ხოლო დანარჩენი 10 პროცენტი პანსიონის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომუნალურ და სხვა ხარჯებს. გარდა ამისა, სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ამერიკელი მეგობრები, რომლებიც აფინანსებენ ბევრ პროექტს და ეხმარებიან სოციალურად დაუცველ ბავშვებსაც და სხვა მოსწავლეებსაც. აღნიშნული პროექტები იქნება სკოლის ადმინისტრაციის, თანამშრომლების და მოსწავლეების მიერ. მინდა გითხრათ, რომ უკვე რვა წელია, არასამთავრობო ორგანიზაციის და ამერიკელი მეგობრების დახმარებით სკოლის ყველა სოციალურად დაუცველი მოსწავლე იკვებება შუადღით (70 ბავშვი)ერთჯერადად, ხოლო სკოლამდელი აღზრდის ჯგუფი (28 ბავშვი)და პანსიონური სერვისით მოსარგებლე ბავშვები (20 ბავშვი) სამჯერადი კვებით. ავადმყოფობის შემთხვევაში სკოლის ყველა მოსწავლის მკურნალობა ფინანსდება (ის, რაც არ ფინანსდება სახელმწიფო დაზღვევით). სკოლის ყველა მოსწავლე სარგებლობს სტომატოლოგიური მომსახურებით. წელიწადში ორჯერ ბავშვებს უტარდებათ გამოკვლევები. **სკოლაში ყველა მოსწავლეს აძლევენ თბილ ქურთუკებს, ფეხსაცმელებს, თბილ წინდებს და ხელთათმანებს, საჭიროების შესაბამისად სასწავლო რესურსებს, მედიკამენტებს. ასევე შემოაქვთ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე ბავშვებისათვის ლეიბები, საბნები, თეთრეული, სხვადასხვა ელექტროტექნიკა (მაცივარი, წყლის გამათბობელი, ტელევიზორი და სხვა).** გვიხდიან ელექტროენერგიის საფასურს, მიმდინარეობს სახელობო სწავლება, რომლის ფარგლებშიც არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დასაქმებულია 7 ადამიანი (სტილისტის, კერვის, სიმღერის, ცეკვის, პურის ცხობის (სკოლა თავისთვის საჭირო პურს თვითონ აცხობს) ხატვის, კომპიუტერულ პროგრამებში გადამზადების, ხალხური საკრავების). გასულ წლებში ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურული პროექტები: გარემონტდა და დაიხურა სასადილოს კორპუსი, საძინებელი, სკოლამდელი აღზრდის ჯგუფისათვის ოთახები. მოწესრიგდა სველი წერტილები და კანალიზაცია. გარემონტდა და შემოვიდა შესაბამისი ტექნიკა სახელობო სწავლების უზრუნველსაყოფად. დღესდღეობით მიმდინარეობს საძინებლისა და სკოლამდელი აღზრდის ჯგუფის ოთახებში ფილაქნების დაგება, ეზოში გაკეთდა ატრაქციონები, სკოლის თანამშრომლების და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობით მოეწყო ბიბლიოთეკა, ასევე ერთობლივი ძალებით მოეწყო გარე სპორტულ მოედანზე ბეტონის საფარი და ბევრი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. თუმცა ყველა ეს ინფრასტრუქტურული პროექტი გაკეთდა თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ. ამას დაემატა ბორის საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია განათლების სამინისტროდან მიღებული დაფინანსებით. ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც სკოლის ინფრასტრუქტურა შედარებით გაუმჯობესდა, არასამთავრობოები, ძირითადად მოსწავლეთა უნარ-ჩვევებისა და სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერების და სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით, დაგეგმილ პროექტებს აფინანსებენ".

ბორის სკოლაში დღის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ინგა მაღრაძემ ასეთი კომენტარი მოგვაწოდა: „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 6 აპრილის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, მიეცა დამატებით 37 000 ლარი, სუბსიდიის სახით, ბორის სკოლა-პანსიონისთვის. როგორც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ განმარტა, თანხა სკოლა-პანსიონში დღის ცენტრის მოწყობას უნდა მოხმარდეს. კერძოდ, უნდა მოწესრიგდეს სკოლის ინფრასტრუქტურა, რათა სკოლა პანსიონმა შეძლოს დამატებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მოწყობა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დღის ცენტრთან დაკავშირებით ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია გვაქვს. აქტიურად ვმუშაობთ ამ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან და იმ ორგანიზაციებთან, რომელთაც დღის ცენტრების ფუნქციონირების დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ ბორის სკოლა-პანსიონთან დაკავშირებით არსებობს სხვა კითხვები. ეს არის პანსიონი, რომელიც თვითმმართველობის მიერ ფინანსდება, არ ხვდება საკანონმდებლო რეგულაციის ქვეშ, რომელსაც ვერ ხედავს სისტემა და სადაც ბავშვის უფლებები რისკის ქვეშ დგას. არ ხორციელდება პანსიონის საქმიანობის მონიტორინგი. როგორც გაირკვა, **კანონმდებლობით, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დაცვა სკოლა-პანსიონებისთვის სავალდებულო არ არის. ასეთი ტიპის დაწესებულებები საქმიანობის დაწყებამდე საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზიას განათლების სამინისტროსგან იღებენ და ეს მათი არსებობის ერთადერთი კანონიერი საფუძველია. პრობლემა, რომელიც სკოლა პანსიონთან დაკავშირებით არსებობს, არის თვითონ ზრუნვის ფორმა.** პანსიონში ამ დროისათვის 16 ბავშვი ცხოვრობს. გაუგებარია, შეუძლია თუ არა პანსიონს გაუწიოს ამ ბავშვებს ხარისხიანი მზრუნველობა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ვიდრე სააღმზრდელო დაწესებულების საქმიანობა არ იქნება შესწავლილი, ვიდრე ჩვენ არ გვეცოდინება, რომ პანსიონში მცხოვრები ბავშვების პირობები შეესაბამება ბავშთა ზრუნვის სტანდარტებს, მანამდე ამ დაწესებულებისათვის კიდევ ახალი ვალდებულების გაჩენა არ იქნება მიზანშეწონილი".

სხვა ხედვა აქვს ხარაგაულის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. მან ჩვენთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ ბორის სკოლისათვის სუბსიდირება დღის ცენტრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით პოზიტიურია და თუ სხვა ორგანიზაციებიც შეძლებენ დღის ცენტრის მომსახურების გაწევას, თვითმმართველობა მათაც დაეხმარება.

როგორც გამგებლის და ბორის სკოლის დირექტორის საუბრიდან გაირკვა, მუნიციპალიტეტში არა ერთი, არამედ სამი დღის ცენტრის გახსნის აუცილებლობაც კი არის.

რაც შეეხება იმ ინფორმაციას, რომ ბორის სკოლა-პანსიონში დაფიქსირდა ძალადობის ფაქტ(ებ)ი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან ასეთი პასუხი მივიღეთ: აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევითი სამუშაოები, ვიდრე არ გამოქვეყნდება ექსპერტიზის დასკვნა, მანამდე ამ თემით სპეკულირება არაეთიკურია, მით უფრო, რომ ამ ეტაპისთვის არ არის გამოკვეთილი დაზარალებული და მოძალადე პირები, რაც შეეხება სამართლებრივ მოკვლევას, ის დაწყებულია ინკოგნიტო პირის მიერ 112-ზე გაკეთებული სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**C ჰეპატიტის ელიმინაცია**

# საქართველო C ჰეპატიტის გარეშე!

**რას მოიცავს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები?**

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

**ა)** C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას: 1) მკურნალობაში ჩართვამდე; 2) მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას.

**ბ)** C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობას C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.

**ვის შეუძლია ისარგებლოს დიაგნოსტიკის კომპონენტით?**

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვს დადებითი პასუხი, შეუძლია პროგრამის ფარგლებში ჩაიტაროს მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები.

**რომელი კვლევები ტარდება პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართვამდე?**

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები ტარდება შემდეგი პრინციპით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს უტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ FIB4 ქულა არის 1.45 - 3.25 მაჩვენებლებს შორის, პაციენტებს დამატებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია;

**ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტებს უტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:**

- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- პაციენტებს, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით უტარდებათ ქვეკომპონენტით გათვალისწინებული ყველა კვლევა.

**მკურნალობაში ჩართვამდე პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობისთვის:**

პაციენტმა უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას (სურვილის შესაბამისად). შერჩევის შემდეგ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების სია გამოქვეყნდება სამინისტროს ვებ გვერდზე www.moh.gov.ge. ასევე, დამატებით ინფორმაციას მიიღებთ ცხელ ხაზზე – 1505.

**რას გულისხმობს მკურნალობის კომპონენტი?**

მკურნალობის კომპონენტი გულისხმობს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით, კერძოდ, ა) სოფოსბუვირით, ბ) პეგილირებული ინტერფერონითა და გ) რიბავირინით უზრუნველყოფას.

**ვის შეუძლია ისარგებლოს მკურნალობის კომპონენტით?**

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს, პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

**მკურნალობის კომპონენტით სარგებლობისთვის:**

**ა)** პაციენტი უნდა დარეგისტრირდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისში: სამინისტროს მისაღებში ან სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში. რეგიონებში – რეგიონულ ცენტრებში), სადაც პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა NIV-100/ა (დედანი), მკურნალობაში ჩართვის წინ ჩატარებული კვლევების დოკუმენტები (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების წარმოდგენა), პირადობის მოწმობის ასლი და შეავსოს შესაბამისი ფორმის განაცხადი. ამასთან, პაციენტი ირჩევს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, სადაც სურს მომსახურების მიღება.

**ბ)** დარეგისტრირებული პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება კომისიურად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა თანხმობის წერილი;

**გ)** პაციენტმა მკურნალობის დასაწყებად თანხმობის წერილის მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ჩაითვლება გაუქმებულად.

**რა მოთხოვნები არსებობს ფორმა NIV-100/ა მიმართ?**

- ფორმა NIV-100/ა გაცემული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ და მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევების, მათი შედეგების, ასევე, დანიშნულების (მედიკამენტებისა და დოზირებების მითითებით) და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ.
- ფორმა NIV-100/ა-ს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დიაგნოსტიკური კვლევები (ჩატარების თარიღების და შედეგების მითითებით): HCV რნმ-ის რაოდენობრივი, გენეტიკური ტიპის, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები, ასევე, სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- მკურნალობაში ჩასართავად საჭირო კვლევების (გარდა გენეტიკური ტიპისა) ვალიდური ვადები შეადგენს არაუმეტეს 3 თვეს.

**პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები:**

- მკურნალობის პოტენციური კანდიდატია ყველა აქტიური HCV ინფექციით პაციენტი, ვისაც მკურნალობის სურვილი აქვს და არ აქვს C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე უკუჩვენებები. კერძოდ პაციენტები, რომელთაც არასდროს არ ჩატარებიათ ანტივირუსული მკურნალობა და პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ანტივირუსული მკურნალობა, მაგრამ იგი იყო წარუმატებელი.
- ანტივირუსული მკურნალობის დაწყებისა და პაციენტების შერჩევისას პრიორიტეტულია შემდეგ ჯგუფები:
  - პაციენტები, ღვიძლის კომპენსირებული ციროზით (F4);
  - პაციენტები, ღვიძლის შორსწასული ფიბროზით (F3);
  - პაციენტები, ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზით (ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები);
  - პაციენტები, ღვიძლის ტრანსპლანტაციით და HCV რეინფექციით;
  - პაციენტები, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით;
  - პაციენტები, აივ და/ან HBV კოინფექციით.

**სად და როგორ მოხდება მედიკამენტების გაცემა პაციენტებზე?**

- პაციენტის მკურნალობაში ჩართვა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში ხორციელდება პაციენტის მიერ თანხმობის წერილის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- სერვისის მიმწოდებელი პაციენტზე პეგილირებულ ინტერფერონს და რიბავირინს გასცემს სამკურნალო სქემის შესაბამისი რაოდენობით (არაუმეტეს ერთი თვის მარაგისა);
- სერვისის მიმწოდებელი სოფოსბუვირს გასცემს ერთი ფლაკონის (28 ტაბლეტიანი) ოდენობით. **სავალდებულოა: ფლაკონი გაიხსნას ადგილზე და პირველი აბი პაციენტმა მიიღოს სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, კამერის მეთვალყურეობის ქვეშ.** პაციენტს გადაეცემა ფლაკონი, რომელშიც არის 27 ტაბლეტი სოფოსბუვირი.
- სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში მედიკამენტი გაიცემა ყოველდღე.

**რა პირობები უნდა დაიცვას პაციენტმა მკურნალობის პროცესში:**

**პაციენტისთვის სავალდებულოა:**

- მკურნალობის პროცესში, ყოველი მეორე კვირის ბოლოს, მედიკამენტის ფლაკონის წარმოდგენა სერვისის მიმწოდებელთან და კამერის წინ ფლაკონის, ბარ-კოდის და ფლაკონში მედიკამენტის დარჩენილი რაოდენობის დაფიქსირება;
- მედიკამენტის მომდევნო ფლაკონის მისაღებად ცარიელი წინა ფლაკონის ჩაბარება.

**პაციენტისთვის დაუშვებელია:**

- პროგრამის ფარგლებში მიღებული მედიკამენტის რეალიზაცია/გაყიდვა/დათმობა პროგრამის არამონაწილე ბენეფიციარზე;
- მედიკამენტის, ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ფლაკონის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, გაყალბების მცდელობა.

- **პაციენტზე მედიკამენტების გაცემისას გამონაკლისი შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურ რეჟიმში კომისიის მიერ.**
- **მკურნალობის რეჟიმის და სავალდებულო პირობების დარღვევის დაფიქსირების, ასევე, მკურნალობის მეოთხე კვირის ვადაზე HCV RNA შეუსაბამო/საეჭვო მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში, პაციენტზე მედიკამენტის გაცემის წესი შეიცვლება და განხორციელდება DOT პრინციპით, ყოველდღიურად სერვისის მიმწოდებელთან, სამედიცინო პერსონალის და ვიდეოკამერის მეთვალყურეობის ქვეშ.**

**რას გულისხმობს მკურნალობის მონიტორინგი?**

მკურნალობის მონიტორინგი გულისხმობს დადგენილი პერიოდულობით, მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი შემდეგი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯების (ALT, AST კვლევები), ბილირუბინის (პირდაპირი და საერთო), კრეატინინის, TSH განსაზღვრა;
- მკურნალობის პროცესში ექიმის მიერ ხორციელდება დეპრესიის მონიტორინგი, მკურნალობის რეჟიმის დაცვის კონტროლი და გვერდითი ეფექტების მონიტორინგი.

**დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების დაფინანსების წესი:**

დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30%-ს.

*დაავადების მართვის შესახებ ინფორმაციას გაეცანით შემდეგ მისამართზე*

**www.hepatiti.ge**

# მაღალმთიან რეგიონებში ოჯახის შექმნას სახელმწიფო 10 000 ლარით წაახალისებს

**მაღალმთიან რეგიონებში ქორწინების წახალისების კონკრეტული გეგმა აპრილის ბოლოს გახდება ცნობილი. ამის შესახებ დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძემ გააკეთა განცხადება. მისი თქმით, მაღალმთიან რეგიონებში ქორწინების ძალიან დაბალი მაჩვენებელია და აუცილებელია ქორწინების ისევე წახალისება, როგორც ეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ხდება.**

„ჩვენ გამოვიკვლიეთ და მოვიძიეთ ინფორმაცია, თუ რა ხდება ევროპული სახელმწიფოების მაღალმთიან რეგიონებში, რომლებსაც აქვთ მსგავსი პრობლემები. თუმცა ჩვენთან, ამ მხრივ, სრული კატასტროფა ხდება. წახალისების იდეა ფონდში მას შემდეგ გაჩნდა, რაც დაახლოებით ერთი წლის წინ ყაზბეგში ვიყავით და ვნახეთ, რომ იქ შინაბერებისა და ბერბიჭების რაოდენობა ძალიან დიდია. ძალიან ბევრი 40 წლამდე მამაკაცი და ქალი არის დაუქორწინებელი და ეს სერიოზული პრობლემაა," — აცხადებს **თამარ ჩიბურდანიძე.**

მისი ინფორმაციით, სხვადასხვა ქვეყანაში ქორწინების წახალისების სხვადასხვა ფორმები არსებობს. ეს არის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ერთჯერადი ფულადი დახმარება, მცირე ბიზნესის დასაწყებად ხელშეწყობა და სხვა. ფონდის ინიციატივაა, რომ წახალისებისთვის საჭირო პროცედურები „მთის შესახებ კანონში" იყოს ჩადებული.

ასევე, „მთის კანონში" იდება მუხლი, რომლის თანახმადაც, არა მხოლოდ მესამე და შემდეგ შვილზე იქნება ფულადი დახმარება, არამედ პირველ და მეორე შვილზეც. ეს შობადობის წახალისებაა, თუმცა შობადობამდე უნდა შეიქმნას ოჯახი.

„საქართველოს ბიუჯეტი, ამ ეტაპზე, ვერ გაწვდება ამ ინიციატივის განხორციელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, იმედი გვაქვს, რომ ეს მრავალწლიანი პროექტი იქნება და შემდეგ წლებში მთელი საქართველოს მასშტაბით, მოხდება წახალისება. ამ ეტაპზე, მთავარია მთიანი რეგიონები, სადაც სოფლები, ფაქტობრივად, დაცლის პირასაა და სწრაფად უნდა მივხედოთ ამ პრობლემას," — აცხადებს ჩიბურდანიძე.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა იქნება საჭირო ამ ინიციატივის განსახორციელებლად და კონკრეტულად რა ღონისძიებების ჩატარება იგეგმება ამ მიმართულებით. ფონდს ამ საკითხე მუშაობა ჯ ერ არ დაუსრულებია.

„სავარაუდო თანხები გამომდინარეობს იქიდან, თუ რას შევთავაზებთ წყვილებს. იქნება ეს ერთჯერადი ფულადი წახალისება, ვთქვათ, 5 000 ან 10 000 ლარის ფარგლებში, ეს იქნება საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, თუმცა მაღალმთიან რეგიონებში, როგორც ცნობილია, ბინის პრობლემა ნაკლებად არის, ეს პრობლემა ქალაქებში უფრო შეინიშნება. იქ არის ძირითადად დასაქმების და მცირე ბიზნესის დაწყების პრობლემა," — აცხადებს ჩიბურდანიძე.

მისივე ინფორმაციით, ყველაზე მთავარი ინიციატივა, რომელსაც ფონდი ამზადებს, მთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობა იქნება, რომელიც ან დაბალპროცენტიან სესხებს მოიცავს ან გარკვეული თანხის ფარგლებში ოჯახებს სახელმწიფო უზრუნველყოფს, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ მცირე მეურნეობები დაიწყონ.

თამარ ჩიბურდანიძის ინფორმაციით, ამ ინიციატივის ციფრებში გადმოცემა და კონკრეტული გეგმის წარდგენა უახლოეს კვირებში იგეგმება.


# სურსათის მოხმარებისას დაზარალდით?

## გსურთ ზიანის ანაზღაურება?

**ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გთავაზობთ:**

**— უფასო იურიდიულ კონსულტაციას;**

**— მეწარმესთან მოლაპარაკებაში დახმარებას;**

**— უფასო საადვოკატო მომსახურებას;**

**— აგრეთვე, სასამართლო და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას.**

**დარეკეთ ცხელ ხაზზე: (032) 242 44 46**

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს:**

**www.mkidveli.ge ან www.fb.com/mkidveli.ge**

„ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

გაიგე რას ჭამ!
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

# მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

## დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება.

## მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებგვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

## დარეკეთ ცხელ ხაზზე!

CSRDG

**თბილისი —**
ტელ.: 219 42 42;
momxmarebeli.ge;
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

MEA

**ახალციხე —**
ტელ.: 551 555 267,
ელფოსტა:
mmakhaltsikhe@gmail.com,
სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია

ბილიკი

**გორი —**
ტელ.: 599 534 070,
598 544 053,
ელფოსტა:
mmcshidakartli@gmail.com,
საზოგადოება „ბილიკი"

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
Greens Movement of Georgia
Friends of the Earth Georgia

**ქუთაისი —**
ტელ.: 570 105 573,
ელფოსტა:
mom\marebeli.kutaisi@greens.ge,

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

**საკონტაქტო პირი:**
**ლელა ბერძული**, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე.
**ელ.ფოსტა:** lberdzuli@epfound.ge
**ტელ.:** 225-39-42/43,
**მისამართი:** თბილისი, კავსაძის ქ. 3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ, შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: **www.mkidveli.ge**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

# ირინე სახელაშვილი:
# „ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და გამომდის: ვსწავლობ და ვასწავლი!“

**გაივლის დრო და კედელთან მდგომი, ცხოვრების გარდამტეხ მომენტებში გამახსენდება ხოლმე ორი პიროვნება: აურელიანო ბუენდია და... ირინე სახელაშვილი... პირველი — როგორც მარადიული ბრძოლისა და შემართების, მეორე კი — მარადიული თვითგანვითარების ეტალონი ჩემს ცხოვრებაში.**

**შეუძლებელია ირინე სახელაშვილი გაიცნო და მისი ინტელექტითა და ადამიანური უბრალოებთ პოზიტიური შოკი არ მიიღო.**

**პირველი კულტურული შოკი დაახლოებით 22 წლის წინ „გვაჩუქა“, ჩვენ — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის აბიტურიენტებს, როცა მისაღებ გამოცდებზე პროფესიით ექიმი, ზრდასრული პროფესიონალი, რომელსაც ტრენდული პროფესიით დასაქმებისა და განვითარების სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე წარმატებით ჩაირიცხა და დაასრულა. 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენისთანა ქალაქისთვის ეს საკმაოდ უჩვეულო საქციელი იყო... თუმცა ირინას საგანმანათლებლო თავგადასავლებში ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...**

**ჩვენი სტუმარია ქალბატონი ირინე სახელაშვილი — ექიმი, ტრენერი, ექსპერტი, ჟურნალისტი, დიპლომატი, მკვლევარი...**

ირინე სახელაშვილი

**— ირინე, რას ნიშნავს შენთვის განათლება ზრდასრულ ასაკში?**

— ზრდასრულთა განათლების შესახებ თეორიებს საფუძველი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ჩაეყარა და, მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც ზრდასრულები, ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებების ან ფასეულობების შეძენის მიზნით, ჩართულები არიან სისტემატურ და პერმანენტულ სასწავლო აქტივობებში. **ანდრაგოგიკა,** იგივე ზრდასრულთა განათლება, სასკოლო განათლებაზე დაფუძნებულ ბავშვთა **პედაგოგიკისაგან** განსხვავდება ფუნდამენტური პრინციპებით, რომლებთაგან უმნიშვნელოვანესი და მთავარი არის თავად ზრდასრულთა შინაგანი მოტივაცია და მზადყოფნა, შეიძინონ ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები; ეს მოტივაცია იმდენად მაღალია, რომ მათ არ სჭირდებათ ზეწოლა და გარედან ბიძგი ამ ცოდნის მიღების მიზნით; ამასთან, ისინი მოტივირებულები არიან მიიღონ განათლება სწორედ იმ მიმართულებით და, შესაბამისად, შეიძინონ ის პრაქტიკული უნარები, რომლის შეძენის აუცილებლობას თავად ხედავენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვებისაგან განსხვავებით, რომლებსაც არ აქვთ არჩევანის თავისუფლება (ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო სასკოლო განათლების ფარგლებში), ზრდასრულები თავად წყვეტენ, რა ისწავლონ და რა არა, და, საერთოდ, ისწავლონ თუ არა რამე...

**— ანუ, ზრდასრულ ასაკში ცოდნის შემეცნება და გაანალიზება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ადრეულ ასაკში...**

— ცხადია, ზრდასრულთა განათლებისა და სასკოლო განათლების სწავლების მეთოდიკასა და პრინციპებში განსხვავება ძალიან დიდია და ანდრაგოგიკა ანუ ზრდასრულთა განათლება მეტ თავისუფლებას და ინტერაქტიულობას გულისხმობს. დღეს სწავლების ფორმატი მრავალნაირია, ტრენინგი, სემინარი, ვორქ-შოპი, დისტანციური, ონლაინ-კურსები, ვებინარი და ა.შ. მოკლედ, მთავარია, ადამიანმა მოისურვოს და განათლების მიღება ნებისმიერი გზით არის შესაძლებელი.

**— გვიამბე საკუთარი ისტორია, გვიამბე შენს პროფესიებზე.**

— სკოლაში სწავლის ბოლო წლებში, როდესაც პროფესიას ირჩევენ ხოლმე ბავშვები, დილემის წინაშე ვიდექი, ძალიან მინდოდა ექიმობა, ასევე ძალიან მინდოდა ჟურნალისტობაც, თან, ამბობდნენ, რომ არ ვწერდი ცუდად, ამიტომ დიდხანს ვყოყმანობდი გადაწყვეტილების მიღებამდე.

საბედნიეროდ, ძალიან დემოკრატი მშობლები მყავდა და არჩევანში აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი, იმდენად, რომ როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და ქუთაისიდან თბილისში მივემგზავრებოდით სამედიცინო ინსტიტუტში საბუთების შესატანად, მშობლებმა სავსებით სერიოზულად შემომთავაზეს, ჩემი არჩევანისთვის გადამეხედა, რომ შემდეგ გული არ დამწყვეტოდა. საბუთები მაინც სამედიცინოზე შევიტანე და ჩემდა საბედნიეროდ, იმ წელსვე ჩავირიცხე პედიატრიულ ფაკულტეტზე. დავასრულე ინსტიტუტი, შემდეგ ვიმუშავე განაწილებით ზესტაფონის სოფლის ამბულატორიაში, შემდეგ ქუთაისის ჩვილ ბავშვთა სახლში, აქვე ვიტყვი, რომ პედიატრობაზე მეტად ნევროპათოლოგობა მინდოდა, ამიტომ პირველი შესაძლებლობისთანავე, რაც ინსტიტუტის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ მომეცა, წამოვედი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, ნევროლოგიის 6-თვიანი კვალიფიკაციის გასავლელად.

**— ირინე, მე 1993 წელს გაგიცანი... ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე... ვაღიარებ, რომ ჩემს მეხსიერებაში პირველი ზრდასრული სტუდენტი ხარ.**

— მართალი ხარ... იმ პერიოდში გამოცხადდა ორწლიანი კლინიკური ორდინატურა სამედიცინო ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრაზე. ბუნებრივია, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი და გავაგრძელე სწავლა ორდინატურაში. პირველი წელი რომ დავასრულე, საზაფხულო არდადეგებზე, ივლისში, ქუთაისში, სახლში ვიყავი ჩამოსული, სადაც სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში გაზეთი, მგონი, „ქუთაისი“, სადაც გამოქვეყნებული იყო განცხადება, რომ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მიღებას აცხადებდა. არც დავფიქრებულვარ, მეორე დღესვე შევიტანე საბუთები. ოღონდ პედიატრის დიპლომი არ გამომიჩენია, სკოლის ატესტატი მივიტანე. ჰოდა, ახლაც მახსოვს, ისტორიის გამოცდაზე მკითხეს, სკოლის დამთავრების შემდეგ 12 წელი რას უცდიდიო?! 28 წლის ვიყავი მაშინ. ჩემმა ოჯახმა არაფერი იცოდა. ჩარიცხვის შემდეგ გაიგეს. პირველი წელი გაბმული ვიყავი თბილისსა და ქუთაისს შორის. მაგრამ ლექტორები ხელს ძალიან მიწყობდნენ, ასეთი „გადარეული“ მეორე არ ჰყავდათ და...

**— კარგად მახსოვს, ჟურნალისტიკის გარდა, მესამე პროფესიას-დიპლომატიასაც შეეჭიდე იმ პერიოდში...**

— ორდინატურა დავასრულე და, რომ მეგონა, ქუთაისს, შესაბამისად, ნევროლოგიას და ჟურნალისტიკის ფაკულტეტს საბოლოოდ დავუბრუნდი, იმერეთის მაშინდელი გუბერნატორის, ბ-ნი თემურ შაშიაშვილის ინიციატივით, ქუთაისში ჩამოვიდა იმ წელს გახსნილი, საგარეო სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური აკადემიის მისაღები კომისია, რომელსაც ქუთაისიდან 10 ახალგაზრდა უნდა შეერჩია, რომლის სწავლის საფასურსაც იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია გაიღებდა სამი წლის მანძილზე. ჰოდა, ამ 10 ბედნიერ ახალგაზრდათა რიცხვში მეც მოხვდი და კვლავ თბილისში აღმოვჩნდი.

ასე დავასრულე ერთი და იმავე წელს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და საქართველოს დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და შევიძინე „მარადმწვანე სტუდენტის“ სტატუსი, რასაც დღემდე პირნათლად ვამართლებ: ხელიდან არ ვუშვებ არცერთ შანსს, რასაც ღმერთი მაძლევს და ვსწავლობ ყველგან და ყველაფერს, რაც მაინტერესებს.

**— და მაინც სად გადის შენი შესაძლებლობების ზღვარი?**

— აი, ეგაა, რომ ძალიან ბევრი რამ მაინტერესებს. ნევროლოგიაში უკვე თვლა ამერია, იმდენი კვალიფიკაცია გავიარე, მათ შორის, ბოლო ორი კვალიფიკაცია, აგერ ახლა, 2012 წელს დავასრულე. გავლილი მაქვს ოქსფორდის პოლიტიკის მართვისა და ჯანდაცვის სამინისტროს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ ერთწლიანი კურსი, NDI-ს „მომავლის ლიდერ ქალთა“ ერთწლიანი პროგრამა; არაერთი ტრენინგი და სემინარი გენდერულ საკითხებზე, ადამიანის უფლებების ევროპულ სტანდარტებზე და სხვა მრავალი.

**— ბოლო წლებში თვალს ვეღარ გადევნებ... დარწმუნებული ვარ, ახლაც სწავლობ...**

— ამჟამადაც ვსწავლობ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ვარ, ნეირომეცნიერების მიმართულებით. ჩემი სადოქტორო თემაა — საქართველოში ძილის მედიცინის განვითარების გამოწვევები: ძილის დარღვევების, პრევალენტობისა და რისკ-ფაქტორების კროს-სექციური კვლევა.

**— მოდი, შენს სამუშაო გამოცდილებაზეც გვიამბე... შენნაირი კადრები ქვეყანაში ბევრი როდია...**

— სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებისას, ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდაზე დავწერე თავისუფალი თემა, სათაურით „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა?!“ ჰოდა, ვინმემ რომ არ ჩათვალოს, რომ მე სწავლის მეტი არაფერი მიკეთებია, ვიტყვი, რომ მაქვს პრაქტიკოს ექიმად მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება; 12 წელზე მეტი ვმუშაობდი სამთავრობო სტრუქტურებში, ძირითადად, ხელმძღვანელ პოზიციებზე; ასევე, მაქვს არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ შორის, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: Peace Corps, Wold Vision; UNDP, UN JP; TEMPUS, SOS-Children Village; თავადაც ვეწევი საგანმანათლებლო საქმიანობას, მათ შორის, ზრდასრულთა განათლების მიმართულებით. ვატარებ ტრენინგებსა და სემინარებს დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის.

ჩემი ამჟამინდელი სამუშაო ადგილი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თენგიზ ონიანის სახელობის ძილ-ღვიძილის ციკლის შემსწავლელი ლაბორატორიის ასოცირებული მკვლევარი. ვატარებ კვლევებს ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან ერთად; მაქვს სტუდენტებთან მუდმივი კონტაქტი და ვარ ბედნიერი, რადგან ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე კარგად მიყვარს და გამომდის: ვსწავლობ და ვასწავლი!

**— შენი აზრით როდის სრულდება განათლების პროცესი?**

— რთული სათქმელია: ალბათ, ადამიანს გააჩნია, უფრო სწორად, მის მოტივაციას. თუ „ფილოსოფიური“ კუთხით შევხედავთ, არასოდეს. ანუ, ადამიანი სწავლობს მანამ, სანამ ცოცხალია. დეკარტის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ: ვსწავლობ, მაშასადამე, ვცოცხლობ! ცხოვრების ყოველი წამი რაღაცას გვასწავლის, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თავის ტვინი არასოდეს ისვენებს, ღრმა ძილის დროსაც კი ურთთულესი პროცესები მიმდინარეობს, რაც დასწავლის პროცესთან უშუალო კავშირშია, ამიტომ შეიძლება ითქვას, სანამ ტვინი ცოცხალია, ადამიანი მუდამ რაღაცას სწავლობს...

**— ანუ, შენც ასე თვლი, რომ „სწავლა სიბერემდეა“.**

— ასევე, ზრდასრულთა განათლების კონცეფცია გულისხმობს, და მეც აბსოლუტურად ვიზიარებ მას, სწავლა უწყვეტი პროცესია, რაც არ შეიძლება დასრულდეს, თუ პიროვნებას პროფესიული ზრდა, ან თუნდაც ახალი პროფესიის, ახალი უნარ-ჩვევების შეძენა სურს. მით უმეტეს, ასეთი გაზრდილი და ულმობელი კონკურენციის ფონზე. კონკურენციას რომ თავი დავანებოთ, რამდენი რამ არის საინტერესო, და, რაც მთავარია, ხელმისაწვდომი... ჩემს სტუდენტებს სულ ვეუბნები, რომ მათ არაჩვეულებრივ, ინტერნეტის არსებობის დროს მოუწიათ სწავლა, რაც უდიდესი ფუფფუნებაა; მთავარია, გინდოდეს მოძიება, ინტერნეტი ამოუწურავი რესურსია განათლებისათვის.

**— ასე მგონია, ამდენწლიანი შემეცნების პროცესის მიუხედავად, მაინც უკმაყოფილო ხარ შედეგით და გგონია, რომ კიდევ ბევრი დაგრჩა შესამეცნებელი.**

— რა თქმა უნდა, ასეა, რაც უფრო მეტს სწავლობ, მით მეტად ხვდები, რამდენი რამე არ იცი და კიდევ რამდენი გაქვს სასწავლი... როდესაც პირველი კვალიფიკაცია დავასრულე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნევროლოგიაში ყველაფერი ამოვწურე და აღარაფერი მქონდა სასწავლი; ახლა კი, ხანდახან შიში მიპყრობს, როდესმე მეცოდინება კი იმდენი, რომ საკუთარ თავზე შემეძლება გულწრფელად ვთქვა, რომ ნამდვილად მაღალი კლასის პროფესიონალი ვარ... პროფესიონალიზმი მუდმივ სწავლას, თვითგანათლებას და მუდმივ ინტერესს ნიშნავს ახლის შეცნობისა და გაგებისათვის. კონკურენცია ძლიერი მოტივატორია, მაგრამ ენთუზიაზმის გარეშე მშრალი რუტინა ნებისმიერ საქმიანობას უკარგავს ინტერესს, რაც პროფესიონალიზმზე ცალსახად და უპირობოდ ახდენს გავლენას. ეს კანონი ყველა სფეროში მოქმედებს და ერთნაირი გავლენა აქვს ხაჭაპურის მცხობელზეც და რეჟისორზეც, ქირურგზეც და „პარკეტჩიკზეც“, ამიტომ მგონია, რომ მარტო კონკურენცია ვერ აიძულებს ადამიანს, მუდმივად იყოს ჩართული უწყვეტი განათლების პროცესში. უნდა გიყვარდეს ის საქმე, რაც გინდა აკეთო და მხოლოდ ეს დიდი სიყვარული მოგცემს ძალას, გაათენო არაერთი უძილო ღამე კომპიუტერთან, წიგნებთან, ნახაზებთან ან თუნდაც ელექტროღუმელთან ან საქსოვ დაზგასთან, რომ ხვალ გახდე უკეთესი, ვიდრე ხარ დღეს!

**— სჭირდება თუ არა ქვეყანას ზრდასრულთა განათლებაზე ფოკუსირება?**

— უდავოდ, ცალსახად და უპირობოდ!

ჩვენს ქვეყანას ბევრი რამის დეფიციტი აქვს, მაგრამ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ყველაფრის დეფიციტის თავი და ბოლო, ყველაფრის სათავე განათლებაა, უფრო სწორად, მისი არქონა. წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა, საბედნიეროდ, არ გვჭირს, თუმცა არის რეგიონები, სადაც ამის პრობლემა ალაგ-ალაგ ნამდვილად არის. უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე „ტაქსის“ მძღოლების სიმრავლითაც ალბათ, ბევრ ქვეყანაზე წინ ვართ. მაგრამ ხუმრობა რომ გვერდზე გადავდოთ, რეალურად, განათლების, უფრო სწორად, გაუნათლებლობის მასობრივი „ეპიდემიის“ სიმპტომატიკა ძალიან თვალში საცემია. ამის დასტურად, „ფეისბუქის“ 15-წუთიანი „რევიზიაც“ საკმარისია. თუმცა, ამ პრობლემას მხოლოდ **ზრდასრულთა განათლება** ვერ მოხსნის, ეს გაცილებით გლობალური პრობლემაა.

**— როგორ ფიქრობ, რა ქმედებებია საჭირო ამ კუთხით?**

— იმ თვალსაზრისით, რასაც ზრდასრულთა განათლების კონცეფცია გულისხმობს, ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც დასაქმება უმწვავესი პრობლემაა, ეს არის ერთ-ერთი გზა, ამ პრობლემის რაღაც დოზით მოგვარებისაკენ. ზრდასრულთა განათლების სისტემა საშუალებას აძლევს ადამიანს, შეიძინოს ახალი ცოდნა, ან თუნდაც ახალი პროფესია, ან გაიფართოვოს კომპეტენცია, აიმაღლოს კვალიფიკაცია ნებისმიერ ასაკში. მეტი განათლება მეტ კონკურენტუნარიანს ხდის პიროვნებას დასაქმების, კარიერული ზრდის მიმართულებით.

ეს სისტემა ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მუშაობს, ერთ-ერთი პირველი ასეთი ტიპის სისტემა ექიმთა უწყვეტი განათლების სისტემის შემოღება იყო, თუ სწორად მახსოვს, 2003 წელს. შემდეგ მას მასწავლებელთა უწყვეტი გადამზადების, თუ განათლების სისტემა დაემატა. კარგა ხანია, დღის წესრიგში დგას საჯარო მოხელეთა უწყვეტი პროფესიული გადამზადების სისტემის დანერგვა, რასაც ერთეული, სპორადიული ხასიათი აქვს და, ჯერჯერობით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ არის სავალდებულო; არაერთი სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს სხვადახვა სამინისტროების ქოლგის ქვეშ, იუსტიციის, ფინანსთა სამინისტროს აქვს სასწავლო ცენტრები. ჯანდაცვის სამინისტროს სხვადასხვა საქვეუწყებო სტრუქტურების თანამშრომლებს უტარდებათ ხოლმე პერიოდულად გადამზადება/ტრენინგები. ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო მოხელეთა სკოლა ამავე ფუნქციას ასრულებს.

**— ირინე, შენ ტრენერიც ხარ და ზრდასრულთა განათლების კუთხით მუშაობ, და მაინც, რისთვის სწავლობენ ადამიანები?**

— მე თავადაც ვატარებ სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგებს, რომელთა მიზანს ზრდასრულთა აუდიტორიისათვის ახალი ცოდნისა და უნარების გადაცემა წარმოადგენს და ამ ტრენინგებს ესწრებიან ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროფესიულ განვითარებასა და გაზრდაში. ბევრი მათგანისათვის ეს სრულიად ახალი თემა და სფეროა. თუმცა ადამიანები სწორედ იმიტომ სწავლობენ, რომ ეს შეძენილი ცოდნა შემდგომ პრაქტიკაში გამოიყენონ და ამ პრაქტიკული საქმიანობით მიიღონ მორალური, ან ფინანსური კმაყოფილება. უფრო მართალი და ზუსტი რომ ვიყოთ, სწორედაც რომ ფინანსური კმაყოფილების მიღების მიზნით არის აუცილებელი ზრდასრულთა განათლების პრინციპების საყოველთაოდ დანერგვა და ამაზე ფოკუსირება, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, მხოლოდ ცოდნის, ინფორმაციის, უნარების და ჩვევების შეძენა-განახლება-გაძლიერების გზით არის შესაძლებელი დაძლიო კონკურენცია, გახდე საუკეთესოთა შორის საუკეთესო, და რაც მთავარია, აკეთო საქმე პროფესიულად, მაღალ დონეზე, მინიმალური ხარვეზებით, მაქსიმალური შედეგებით; პროფესიონალიზმი ყველა სფეროში კი, დამეთანხმებით, ქვეყნის ეკონომიკურ, მაშასადამე, პოლიტიკურ სიძლიერეს ნიშნავს, ამიტომ ვთვლი, რომ განათლება, საყოველთაო, უწყვეტი და პერმანენტული, მათ შორის, ზრდასრულთა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ვიტყოდი, სტრატეგიული მიზანია ქვეყნისათვის.

**ელისო გოლეთიანი**

## გერგეტის სამება მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი ეკლესიების სიაში მოხვდა

**ბრიტანულ გამოცემა The Telegraph-ს ტურიზმისთვის ცალკე გამოყოფილი, საკმაოდ პოპულარული სექცია აქვს. მოგზაურებისთვის ისინი ყოველდღე იმ ღირშესანიშნაობების თუ ქალაქების სიას აქვეყნებენ, რომლებიც უნიკალურებად ითვლება და ტურისტებმა აუცილებლად უნდა ნახონ.**

ქართული ქალაქები და ისტორიული ძეგლები მათ სიაში არც თუ ისე იშვიათად ხვდება.

ამჯერად გამოცემამ, გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი ეკლესიების სია, რომელშიც გერგეტის სამება მოხვდა.

„ყაზბეგის მთის ძირში, მწვანესა და თეთრში ჩაფლული კავკასიის მთები გერგეტის სამებას გასაოცარს ხდის. მე-14 საუკუნით დათარიღებულ ეკლესიას აქვს ცალკე მდგომი სამრეკლო, რომელსაც სანავიგაციო დანიშნულება აქვს. ეკლესიაში საბჭოთა პერიოდში ღვთისმსახურება გაუქმებული იყო, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვლავ აღდგა," — მითითებული აქვს ტელეგრაფს.

რამდენიმე დღის წინ, გამოცემამ უძველეს ევროპულ ქალაქებს შორის დაასახელა ქუთაისი და მცხეთა.

# გაზეთ „P.S."-ის *პრაქტიკული ჟურნალისტიკის მედიალაბორატორია* სტაჟირებას აცხადებს!

**მედიასახლი „P.S." („პოსტსკრიპტუმი"), სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტთან (CSMDI) ერთად, ქუთაისში პრაქტიკული ჟურნალისტიკის მედიალაბორატორიას ხსნის!**

იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტდამთავრებულ ახალგაზრდებს ძირითადად მხოლოდ თეორიული ცოდნა აქვთ და თანამედროვე მედიის ტექნოლოგიებში პრაქტიკული უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ, **მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი", სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტთან ერთად, პრაქტიკული ჟურნალისტიკის მედიალაბორატორიას ხსნის!**

**ეს პროექტი სპეციალურად მათთვისაა, ვისაც სურს, ჟურნალისტიკაში მაღალპროფესიონალურად დახელოვნდეს და დასაქმდეს კიდეც.**

**მსურველები კონკურსით შეირჩევიან და სამთვიან პრაქტიკულ სწავლებას სიმბოლურ ფასად გაივლიან.**

განაცხადის წარმოდგენა ნებისმიერი პროფესიის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს შეგიძლიათ, თუ მოტივირებული ხართ, რომ პრაქტიკულად დახელოვნდეთ ჟურნალისტიკაში!

თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, პრაქტიკაში დაეუფლოთ თანამედროვე ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს, ტრადიციული და ახალი მედიის უნარ-ჩვევებს.

სტაჟირებისას თქვენს განკარგულებაში იქნება შესაბამისი კომპიუტერული თუ ვიდეოტექნიკა. ამ სამი თვის მანძილზე იცხოვრებთ რეალური სარედაქციო ნიუსრუმის რეჟიმში, პროფესიონალი ჟურნალისტების ხელმძღვანელობით მოამზადებთ როგორც ახალ ამბებს გაზეთ „P.S."-ისა და ყოველდღიური ინტერნეტგამოცემისთვის, www.psnews.ge, ასევე – სიღრმისეულ სტატიებს, ინტერვიუებსა თუ ფოტო-ვიდეო სიუჟეტებს.

მულტიმედიაპლატფორმაზე დამყარებული სწავლების მეთოდი შესაძლებლობას მოგცემთ, თანამედროვე მედიის ყველა საშუალებაში სამუშაოდ გქონდეთ ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სტაჟირების პერიოდში, მედიალაბორატორიის სტუდენტების სტუმრები იქნებიან მოწვეული ექსპერტები მედიასამართალში, მედიაეთიკის, ფოტო და ახალი მედიის სპეციალისტები.

მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისად, თქვენ აგრეთვე შეძლებთ, რომ მონაწილეობა მიიღოთ რედაქციის პრესკლუბის საქმიანობაში, მოიწვიოთ თქვენთვის სასურველი ადამიანები პრესკლუბში დისკუსია-დიალოგისთვის და შემდგომ გააშუქოთ მულტიმედიურ ფორმატში.

სტაჟირების დასასრულს 10-ბალიანი სისტემით შეფასდება ლაბორატორიის სტუდენტთა საქმიანობა შემდეგი კრიტერიუმებით:

სიახლეების ათვისების უნარი;
განსხვავებული ხედვისა და თემების მიგნების ნიჭი;
წყაროების მოძიებისა და გადამოწმების მეთოდები;
მოვლენის მულტიმედიური გაშუქების უნარი;
გამართული ქართულით მეტყველება და წერა;
კრიტიკული აზროვნების უნარი.

ისინი, ვინც 70%-ზე მეტ ქულას მოიპოვებენ, მიიღებენ ორენოვან სერთიფიკატს და მიეცემათ რეკომენდაცია მომავალი დამსაქმებლისთვის. სურვილის შემთხვევაში, ექნებათ შესაძლებლობა, რომ შტატგარეშედ გააგრძელონ გაზეთ „პოსტსკრიპტუმის" რედაქციასთან პრაქტიკული თანამშრომლობა.

**ისინი, ვინც 90%-ზე მეტ ქულას დააგროვებენ, სერთიფიკატის მიღებასთან ერთად, დასაქმდებიან მედიასახლ „პოსტსკრიპტუმში".**

**მსურველებმა 29 აპრილამდე უნდა გამოგვიგზავნოთ სამოტივაციო წერილი, ავტობიოგრაფია (სმ) და საკონტაქტო მონაცემები შემდეგ მისამართზე: nato2727@gmail.com; სასურველია ასევე ჟურნალისტური მასალის გამოგზავნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.**

გასაუბრებისთვის შერჩეულ კანდიდატებს თავად დავუკავშირდებით. გასაუბრება გაიმართება მაისის პირველ კვირაში. სტაჟირებისთვის შეირჩევა არაუმეტეს 20 სტუდენტი.

**პრაქტიკული სწავლებისა და სტაჟირების სიმბოლური ღირებულებაა თვეში 25 ლარი**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე 577 247711 ან 599 107794**

**პროექტის ხელმძღვანელი ნატო გუბელაძე**

# ფონდი „ქართუ" ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნის მომხრეებს პასუხობს

**ფონდი „ქართუ" ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის საქართველოში საუკეთესო ადგილად თბილისს მიიჩნევს. ასეთ კომენტარს აკეთებს ფონდის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნის საპასუხოდ. შეგახსენებთ, რომ ასეთი მოთხოვნით საინიციატივო ჯგუფი გამოდის, რომელმაც ქალაქში ბროშურების დარიგება დაიწყო სახელწოდებით „ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქუთაისს" და იგივე მოთხოვნით მოსახლეობაში ხელმოწერებსაც აგროვებს.**

„ფეისბუქის" გვერდის საშუალებით ჯგუფმა გაავრცელა მიმართვა ბიძინა ივანიშვილის, ფონდ „ქართუს", კოალიცია „ქართული ოცნებისა" და მთლიანად სახელისუფლებო გუნდისადმი, რომელშიც შეახსენებს მათ „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებას ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

მიმართვაში ნათქვამია, რომ არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა ქალაქს დემოგრაფიული კრიზისის წინაშე აყენებს და წინასაარჩევნო დაპირებამ ქუთაისისთვის საუნივერსიტეტო ქალაქის ფუნქციის მინიჭების შესახებ მოსახლეობაში გააჩინა იმედი, რომ ამ ნაბიჯების შემდეგ ქალაქის ეკონომიკა ნელ-ნელა აღორძინებას დაიწყებდა.

„ვთვლით, რომ თქვენს მიერ დაანონსებული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი იქნება პირველი ნაბიჯი ამ დაპირების შესრულებისთვის. მით უმეტეს, თუ გადავხედავთ უახლესი ისტორიის მანძილზე ქალაქის ფუნქციას, ტექნოლოგიურ ბაზას (უკვე არსებული უნივერსიტეტის სახით), ქუთაისს ნამდვილად აქვს ტექნოლოგიებთან მუშაობის გამოცდილება. სტუდენტების სიმრავლე კი დამატებით ბიძგს მისცემს ქალაქის მცირე მეწარმეობის განვითარებას.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით გთხოვთ და მოვითხოვთ 2012 წელს გაცემული დაპირების შესრულებას და ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ქუთაისში დაფუძნებას. ის ქალაქს ძალიან სჭირდება!" — ნათქვამია განცხადებაში.

წინასაარჩევნო პერიოდში, 2012 წელს, ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად ქცევის დაპირება ქუთაისელებს ბიძინა ივანიშვილმა მისცა.

„ქუთაისში დავაარსებთ საუნივერსიტეტო ქალაქს, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით. რომელსაც ისეთი მნიშვნელობა ექნება საქართველოში, როგორც გელათის აკადემიას ჰქონდა დავით აღმაშენებლის დროს," — განაცხადა ივანიშვილმა ქუთაისში გამართულ აქციაზე.

შეგახსენებთ, რომ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნას ფონდი „ქართუ" თბილისში გეგმავს.

ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტი აშენდება თბილისში, რადგან თბილისი ინფრასტრუქტურულად, ტერიტორიულად ყველაზე მომგებიანია ასეთი ფართო და მსხვილი პროექტებისთვის.

„პროექტი არის რამდენიმეწლიანი, რადგან იქნება გათვლილი დიდი რაოდენობის სტუდენტებისთვის. აშენდება საუნივერსიტეტო კამპუსიც," — განაცხადა ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა იანვარში, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს სწორედ „ქართუ" ააშენებს თბილისში და არა ბათუმში, როგორც ეს წინა ხელისუფლებას ჰქონდა განზრახული.

ნიკოლოზ ჩხეტიანი „კომერსანტთან" საუბარში ამბობს, რომ მისთვის უცნობია საინიციატივო ჯგუფის მიმართვის შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ ფონდი ამ მიმართვისთვის არასწორი ადრესატია, რადგან წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას და მისგან წინასაარჩევნო დაპირების შესრულების მოთხოვნა არაკორექტულია.

ჩხეტიანის განმარტებით, უნივერსიტეტის წარმატებით ფუნქციონირება დამოკიდებულია სტუდენტთა რაოდენობაზე, ხოლო თუ საუბარია სტუდენტების უცხოეთიდან მოზიდვაზე, ამ კუთხით საუკეთესო ადგილი, როგორც ტერიტორიულად, ისე ინფრასტრუქტურულად და სხვა ასპექტებითაც, თბილისია.

ტექნოლოგიური უნივერსიტეტი სავარაუდოდ, 2017 წლისთვის გაიხსნება, თუმცა, კონკრეტულად სად განთავსდება ის, ცნობილი არ არის.

„კომერსანტმა" საინიციატივო ჯგუფის მიმართვასთან დაკავშირებით განმარტებების მოპოვება „ქართული ოცნებიდანაც" სცადა, თუმცა კოალიციის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

განმარტებებს ველოდებით განათლების სამინისტროსგან.

კომენტარზე უარს აცხადებს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე, რომლის წარმომადგენელმაც განგვიცხადა, რომ პარლამენტარი ამჟამად პირად საქმეზე იმყოფება და ამასთან, სატელეფონო კომენტარებს საერთოდ არ აკეთებს.

## ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის, ზაზა ხატიაშვილის, საგანგებო განცხადება

**ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი, ზაზა ხატიაშვილი, საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„კანონპროექტის მიხედვით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს, ზეპირად მოსთხოვოს ადვოკატს კლიენტთან დადებული გარიგების შეჩერება. ეს ინიციატივა ქვეყანას მოუსპობს განვითარების შანსს და დააბრუნებს ფეოდალიზმში.

2015 წლის 6 აპრილს ქალბატონ მანანა კობახიძის ხელმოწერით დარეგისტრირდა პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა „ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ყოფილი ადვოკატი, ქალბატონი მანანა კობახიძე მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ" კანონში „სისხლის სამართლის" კოდექსში და „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე, რომელიც განხილული უნდა იქნეს დაჩქარებული წესით პარლამენტის ერთ სხდომაზე ორი მოსმენით. საქართველოს მთავრობამ ცვლილება ისე შეაპარა „ადვოკატთა შესახებ" კანონში პარლამენტს, რომ არ გამოიტანა სადისკუსიოდ, არ მიგვაღებინა მონაწილეობა ადვოკატთა ასოციაციას, რაც ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მოვლენაა.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ადვოკატი მოვალე ხდება შეასრულოს „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები. „ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებებთან ერთად, შედის ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში და „ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში, სადაც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ითავსებს პროკურორის და სასამართლოს ფუნქციებს, რაც კატასტროფის მომტანი შეიძლება გახდეს ქვეყნის განვითარებისთვის. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ, სად იპოვნიან ინვესტორებს ვერ ვხვდები.

ქობულეთში 2014 წლის 14 აპრილს ჩვენი ყოფილი კოლეგის, ქალბატონი ეკატერინე ბესელიას კომიტეტმა განიხილა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ცვლილებები კარგია, რომ ადვოკატებთან მიმართებაში არანაირი უფლებები არ ირღვევა. „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში შემოდის ახალი 10 მუხლის 3 ნაწილი, რომლის მიხედვით საეჭვო გარიგების შეჩერების მიზნით, ფინანსური მონიტორინგის სამსახური აღარ მიმართავს სასამართლოს და პირადად მიმართავს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ნებისმიერი საეჭვო გარიგების შეჩერების მიზნით.

ეს არის ფეოდალური ცვლილება, ვინაიდან კანონპროექტის მიხედვით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს ზეპირად მოსთხოვოს (მაგალითად ტელეფონით დაურეკოს) ადვოკატს კლიენტთან დადებული გარიგების შეჩერება, რაც პირდაპირ უხეში ჩარევაა ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობებში. სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, თუ ადვოკატი თავის კლიენტს მიაწვდის ინფორმაციას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაინტერესების თაობაზე, მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ზემოთაღნიშნული ცვლილება, ჩემი აზრით, მიმართულია ორი მიზნისკენ, გაანადგურონ თავისუფალი პროფესია „ადვოკატი" და წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ პარტიებს მოუსპონ არჩევნებზე გასვლის ყველანაირი ფინანსური საშუალება, ვინაიდან მაჟორიტარული არჩევნების პირობებში ფულიანი ბიძები გადაწყვეტენ არჩევნების ბედს.

ხელისუფლებამ ბოლო გამოკითხვების შემდეგ, იპოვა გამოსავალი აზრი დაუკარგოს არჩევნებს და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ანიჭებს უფლებას სასამართლოს გარეშე შეაჩეროონ ნებისმიერი გარიგება, რაც გამოიწვევს ძალიან ცუდ შედეგს ქვეყნის განვითარებაში. მაინტერესებს საპარლამენტო უმრავლესობაში თუ აღმოჩნდებიან დეპუტატები, ვინც წინ აღუდგებიან ქვეყნის განვითარების შეჩერებას" — **ასეთ კომენტარს აკეთებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი მთავრობის ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე.**

# გენოციდი ხალიფატის სახელით...

**პირველი გვერდიდან**

„ქვეყანამ უნდა აჩვენოს თავისი სახე, რომ ის ზრუნავს ადამიანებზე არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. ქართულმა ხელისუფლებამ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სპეცსამსახურებმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცოტა მეტი უნდა ვიფიქროთ ამასთან დაკავშირებით," — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

სირიაში და ერაყში მომხდარ ფაქტებს კაცობრიობის წინაშე დანაშაულს უწოდებს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძეც.

„არის მომენტები, როცა პოლიტიკა, გეოგრაფიული მდგომარეობა, საკუთარ სახლში მშვიდად ყოფნა მეასეხარისხოვანია და მდუმარებით დანაშაულის თანამონაწილე ხდები. ის, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე" — ამგვარად აფასებს კახა კალაძე სირიაში ასირიელი ქრისტიანების განადგურებას.

„სასაკლაო — ალბათ, ეს არის ზუსტი განმარტება იმ ფაქტისა, რაც დღეს სირიაში, კენიაში, ლიბანსა თუ ერაყში ხდება. ყოველდღე ვრცელდება ადამიანების წამების, ცოცხლად დაწვის, თავის მოკვეთის ფაქტები... ISIS-ის მეომრებმა ორიოდე თვის წინ, 12-13 წლის ბიჭებს თავები მოკვეთეს. მიზეზი ფეხბურთის თამაში იყო. ერთ-ერთი პირველი, რამაც მსოფლიოს უეცარ ტალღად გადაუარა, გასული წლის შემოდგომაზე, ერაყის ტერიტორიაზე ერთ-ერთი არაბული ტომის 150-მდე წარმომადგენლისათვის თავის მოკვეთა გახლდათ, მერე ერაყიდან ქურთების მასობრივი დევნა, შიგადაშიგ, მძევლების საჯაროდ დაწვა, თავის მოკვეთა... ბოლოს კი სირიაში მცხოვრები ქრისტიანები." — წერს თამარ კარელიძე „ლიბერალის" ბლოგების გვერდზე გამოქვეყნებულ ბლოგში „სად არის დასავლეთი?"

ბლოგერის მსგავსად, დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ დასავლეთი მრავლისმეტყველად სდუმს და მხოლოდ შეშფოთებით და მშრალი განცხადებებით პასუხობს „ისლამური სახელმწიფოს" არაადამიანურ ქმედებებს, რომელთა ამსახველ კადრებს ტერორისტები თავად ავრცელებენ სოციალური ქსელების მეშვეობით.

### მაინც ვინ არიან ეს „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლები?!

„ისლამური სახელმწიფო" — ეს არის მოვლენა, რომელიც ნატოს უელსის სამიტის დეკლარაციაში ნომერ პირველი საფრთხის სტატუსი მიენიჭა და რაც გაერომაც გაიზიარა. მას რამდენიმე სახელი აქვს — „ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფო", „არაბული ხალიფატი", „ISIS", „ISIL". როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, „ისლამური სახელმწიფოს" ჩამოყალიბებაში და გაძლიერებაში შეერთებული შტატების წვლილიცაა, რომელიც საკმაოდ სერიოზული დაფინანსებითა და გამალებული შეიარაღებით ეხმარებოდა იმ ამბოხებულებსა და გაურკვეველი წარმომშობის ტერორისტებს, რომლებსაც მისთვის არასასურველი რეჟიმების წინააღმდეგ იყენებდა, დღეს კი გაძლიერებულმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადეს.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ტერორისტული დაჯგუფების ასეთ გაძლიერებას ხელი შეუწყო ჯერ ერაყის ომმა და სადამ ჰუსეინის ხელისუფლების განადგურებამ, რადგან ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბება არც ისე ადვილი აღმოჩნდა და ასეთმა ორგანიზებულმა სამხედრო დაჯგუფებამ სწრაფად შეძლო დიდი ტერიტორიის დაკავება. ისლამური სახელმწიფოს წინამორბედი ორგანიზაციის სახელი იყო „ალ-ქაიდა ერაყში". ეს ორგანიზაცია დააფუძნა მოჯაჰედინმა, წარმოშობით იორდანელმა აბუ მუსაბ ალ-ზარქავიმ ერაყში ამერიკული ინტერვენციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. ყველაზე დიდ წარმატებას ჯგუფმა 2014 წელს მიაღწია, როცა დომინოს პრინციპით აიღო მოსული და სხვა ქალაქები ერაყში.

ისლამისტურმა დაჯგუფებამ ხალიფატის შექმნის შესახებ 2014 წელს გამოაცხადა და ღიად განაცხადეს, რომ მთლიანად გეგმავენ ერაყისა და სირიის ტერიტორიების დაკავებას, სამომავლო პერსპექტივაში კი ლიბანის, პალესტინის, იორდანიის და სხვა მიმდებარე ქვეყნების დაკავებას, ასევე, კავკასიის გათავისუფლებასაც (ანუ, ორგანიზაციის მიზანი ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე ისტორიული ხალიფატის აღდგენაა). ასე რომ, ხალიფატი არამარტო გლობალურ, არამედ დიდ რეგიონალურ საფრთხეებსაც შეიცავს. „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლები ძირითადად სუნიტები არიან, რომლებიც ორ შიიტურ ხელისუფლებას ებრძვიან სირიასა და ერაყში. მათ უკვე, ფაქტობრივად, მთელი ერაყი და სირიის დაახლოებით 70% აქვთ დაკავებული.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „ისლამური სახელმწიფო" სრულიად ახალი მოვლენაა ტერორიზმის ისტორიაში. თუ აქამდე ტერორისტები დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახელით მოქმედებდნენ და ახორციელებდნენ ტეროროს საკუთარი მიზნების მისაღწევად, დღეს უკვე ისინი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში არიან. ათობით მილიარდი დოლარისა და ათასობით მებრძოლის ფონზე სანამდე წავა მათი ამბიციები რთული სათქმელია. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ფაქტია, რომ მსოფლიო და ჩვენი რეგიონი უსერიოზულესი გამოწვევების წინაშე დგას, სადაც საქართველომ მაქსიმალურად ფრთხილი ნაბიჯები უნდა გადადგას.

**ციტნე გაბაძაძე**

---

**სიტყვას ითხოვს მკითხველი**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

— ომმოგებული ვეტერანი, მხოლოდ ქართველი,
ყველაზე მეტად წაგებულია,
კეთილდღეობის „მავთულხლართები"
მისთვის დიდი ხნით დაგებულია.
ეს კიდევ ერთი დიდი სირცხვილი,
მგონი, სხვაგანაც გაგებული აქვთ!
**ავტორისეული რეპლიკა**

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

კაცობრიობამ იცის არაერთი, ოღონდ მსოფლიო მასშტაბის ომი, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების ნიადაგზე რომ აღმოცენდა, რასაც დიდძალი ადამიანური და მატერიალური დანაკარგები მოჰყვა. ერთი სიტყვით, ეს იყო უდიდესი ტრაგედია... ასეთი საშინელი დიდი ომის გამოვლენა იყო რიგით მეორე მსოფლიო ომი. დამთავრდა იგი ჩვენი ქვეყნისა და სამეულთა კოალიციის (ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) ერთობლივი ძალისხმევითა და გამარჯვებით, ფაშისტური გერმანია, ჰიტლერის ტირანული რეჟიმი დაუპირისპირდა მთელ მსოფლიოს. ამ გამარჯვებაში ლომის წილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირს და მასში შემავალ ყველა დიდ თუ პატარა ქვეყანას. პატარა საქართველომ პროცენტულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ ომში.

სამწუხაროდ, ჩვენი ისტორია მუდმივი ბრძოლისა და თავდასხმების ისტორიაა. სუვერენული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის წინარე ეპოქებში და ასევე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს არ დაჰკლებია იმპერიული რუსეთისა და სხვათა დავდასხმები, ხალხის აწიოკება და ვითარების გართულება. დიდი განსაცდელისა და მტერთან შერკინებისას არაერთი მარცხი და სირცხვილი გვქონია, მრავალი ცდომილება და პარადოქსი, და ამ მხრივ არც ახლა ვართ თავისუფალი...

ცხონებულმა მწერალმა და მეცნიერმა, პროფესორმა ლევან სანიკიძემ მთელი წიგნი დაწერა სახელწოდებით „309 სირცხვილი". ამის მერე სირცხვილი, დიდი შოთა რუსთაველის თქმისა რა იყოს, „გვაქვს უთვალავი ფერითა".

და აი, კიდევ ერთი (არ მინდა ვთქვა, „ეს ერთი და სხვა მრავალი", მაგრამ რატომღაც ხდება ასე) სამარცხვინო მოქმედება ანუ სირცხვილი, რომელიც საქართველომ იწვნია იმ გამარჯვების წილად, რაც მოიხვეჭა თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხმა.

საქართველოში დღემდე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ყველაზე დაბალ პენსიას იღებს და ეს ფრიად სამარცხვინოა ჩვენი ქვეყნისათვის...

ათეული წლებია ჩვენი ქვეყნის პოლიტელიტას და ზემდგომ ორგანოებს ამისთვის არც სცალიათ და არც სირცხვილის გრძნობა აწუხებდა. ამდენად, მე დიდი გურამიშვილის სიტყვებით გამოვთქვამ პროტესტს „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხდებისო."

***

ახლა მინდა, ფაქტობრივი მონაცემების შესაბამისად, ნათელვყო, თუ ომის ვეტერანთა მდგომარეობა რაოდენ მძიმე და აუტანელია ჩვენს ქვეყანაში. მოვიხმობ დაზუსტებულ მონაცემებს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე დიდი ქვეყნების მიხედვით.

იმპერიული რუსეთის ომის ვეტერანი ღებულობს სამხედრო პენსიას 1500 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, აქვს სხვა შეღავათები და პრივილეგიები.

ამერიკის ომის ვეტერანს დანიშნული აქვს ორი პენსია. შრომითი პენსია 1200 დოლარი, ხოლო ომის ვეტერანის — 1500 დოლარი.

დიდ ბრიტანეთში წოდებებისა და საბრძოლო ჭრილობების გათვალისწინებით ომის ვეტერანების პენსია 2000-დან 9000 დოლარამდე მერყეობს (გაზ. „კვ. პალიტრის" მიხედვით).

სხვათა შორის, იმპერიული რუსეთი ოკუპირებულ რეგიონში პენსიებს არიგებს ისევე, როგორც თავად რუსეთში. კიდევ ერთი დეტალი აფხაზეთის სინამდვილიდან: აქ პენსიები ასაკოვან ადამიანებზე შრომითი სტაჟის გარეშე, ე.ი. მოხუცებულობის პენსია შეადგენს 400 ლარს ჩვენი ფულით. ასეა ცხინვალის რეგიონშიც, მაშინ, როდესაც ჩვენთან, საქართველოში მოხუცებულებს აქვს მცირედი სოციალური დახმარება, იმ მოხუცებულს, ვისაც შრომის სტაჟი აქვს 25 წელი, განურჩევლად წლების და დამსახურებისა, ეძლევა პენსია 150 ლარი; მაშინ, როდესაც ნორმალურ ქვეყანაში არსებითად განსხვავება არის შრომის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. აქ კი პედაგოგს, რომელიც მუშაობის 60 წლის სტაჟი აქვს, და სოფლად მცხოვრებ კოლმეურნე ქალს, თუ აქვს 22-25 წელი, ისიც ღებულობს 150 ლარს. როცა ასეთი მდგომარეობაა საქართველოში, როგორ უნდათ მიაღწიონ იმას, რომ გაიძახიან — შემოვირიგებთ ჩვენს ძმებს — აფხაზებსა და ოსებს (მაშინ, როდესაც გენეტიკურად ქართველი ძმები ერთმანეთს ებრძვიან და არ ინდობენ, როცა მათ გაცილებით მეტი აქვთ პენსია და სხვა).

***

**რა თქმა უნდა, დიდი სირცხვილია ის, რომ დამარცხებული ფაშისტური გერმანიის ომის ვეტერანს 10-ჯერ მეტი პენსია აქვს, ვიდრე ქართველ ომის ვეტერანს.** წინა ხელისუფლების დროს ომის ვეტერანის პენსია შეადგენდა 172 ლარს. 2012 წლის შემდგომ ეგ პენსია გაიზარდა 192 ლარამდე (დაემატა 30 ლარი). ამაში იგულისხმება ის შეღავათები, რომლითაც იგი სარგებლობდა 90-იანი წლებიდან 2003 წლამდე.

აქვე უნდა ითქვას იმ პარადოქსზეც, რასაც საქართველოში ჰქონდა და აქვს ადგილი. არ ვიცი, ამ მხრივ რა მდგომარეობაა რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ უცნაური და ორიგინალური რამ მოხდა ჩვენთან. ომის ვეტერანთან გათანაბრების სტატუსი მიენიჭა იმ ქართველ მოქალაქეს, რომელიც ომის წლებში შორეულ ზურგში იყო, არ გაუვლია არც საარმიო სამსახური და არც ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა. აქვე ქუთაისის თუ სამტრედიის ახლოს არსებულ სამხედრო ბატალიონში დაკისრებული ჰქონდა მოვალეობა ლექციებით და მშვიდობიან ღონისძიებებში მიეღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ჩემი კოლეგა (დაბად. 1925 წელს), რომელსაც არ შეხებია სავალდებულო სამხედროში გაწვევა მიზეზთა გამო, ქუთაისის საღორიის ტყეში დაბანაკებულ ქართულ სამხედრო ბატალიონში ასრულებდა გარკვეულ დავალებებს. მას მიენიჭა ომის მონაწილესთან გათანაბრების სტატუსი და ამდენად, სამხედრო პენსია შეადგენს 162 ლარს, ომის ვეტერანს მასზე მხოლოდ 30 ლარით მეტი აქვს.

გარდა ამისა, ის ქართველი, რომელიც ომში არ მონაწილეობდა და ზურგში სამხედრო სამსახურს გადიოდა, ყოველ ნებისმიერ წელზე ეძლევა დამატებით 10 ლარი. 25 წელი ვინც სამხედრო მოსამსახურე იყო და დანიშნული ჰქონდა პერსია, მერე მას დაემატა დამსახურების წლების მიხედვით 10 ლარი ყოველ თვეზე და პენსია გახდა 250 ლარი, პლიუს პენსია 250 ლარი.

**გამოდის, რომ ომის ვეტერანთან გათანაბრებულს, საქართველოში აქვს ორი პენსია. შრომითი და სამხედრო. ამ პრივილეგიას რატომ უნდა იყოს მოკლებული ომის აქტიური მონაწილე?**

წინა ხელისუფლების დროს იყო მცდელობა და სურვილი, რომ ომის ვეტერანისთვის დაენიშნათ ორი პენსია — შრომით და სამხედრო. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატი ქუთაისში არაერთხელ შეხვდა ომის ვეტერანებს და დაგვპირდა ჯერ პენსიის გაზრდა-მომატებას, მაგრამ ზემდგომი ორგანოებიდან მალე მივიღეთ პასუხი — საპენსიო ფონდს არა აქვს საშუალება და საკითხი გადაიდო დღემდე... ესეც ერთი კეთილცრუობის გამოვლენა და სირცხვილია, მადლიერებას გამოვთქვამთ ეთდროული ფინანსური დახმარებისა და სხვათა გამო. გამარჯვების დღე აღინიშნება ომის ვეტერანებთან შეხვედრით, საზეიმო ცერემონიალით, მილოცვა-მისალმებით და კეთილი სურვილებით, ყოველივე ეს ყოველწლიურად ტარდება.

მრავალგზის მიმიღია ოფიციოზისაგან მილოცვა-სურვილები. მოვიხმობ შესაბამის ტექსტს, სპეციალური ბლანკის მიხედვით:

*— „ბატონო სიმონ, გილოცავთ 9 მაისს — ფაშიზმზე გამარჯვების დღეს!*

*მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ვამაყობთ თქვენით, ფაშიზმის წინააღმდეგ თქვენი თავგანწირული და გმირული ბრძოლით. თქვენი სულიერი სიმტკიცე და გამძლეობა, თქვენი თავდადება და ვაჟკაცობა სამაგალითო და მისაბაძი იქნება ყოველთვის, რამდენი დროც არ უნდა გავიდეს.*

*მჯერა, 9 მაისს მომავალი თაობებიც მოიგონებენ და იამაყებენ იმით, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველებმა, სხვა ერებთან ერთად, ფაშიზმისაგან იხსნეს კაცობრიობა.*

*უდიდესი მოწიწებით და პატივისცემით მადლობას გიხდით სამშობლოს წინაშე გაწეული სამსახურისათვის, პირნათლად მოხდილი ვალისათვის. ჯანმრთელობას, მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.*

*გამარჯვების დღეს გილოცავთ!*

*პატივისცემით ირაკლი ღარიბაშვილი*

ეს კარგია, გამამხნევებელი და ოპტიმისტური შეძახილია, მაგრამ ღრმა მოხუცი ომის ვეტერანის ერთხანს სიცოცხლის და ნორმალური ადამიანური ცხოვრებისათვის ეს როდია მთავარი პირობა. ეს მისთვის არც გარანტია და არც გრანტია.

**ხელისუფლებას მართებს, დაფიქრდეს ამაზე და რამდენადმე უკეთესობისაკენ შეცვალოს ღრმა მოხუცების, ვეტერანთა ყოფა-ცხოვრება. ახლა ამ მხრივ საქართველოში სამარცხვინო მდგომაროება გვაქვს.**

ბატონო პრემიერ-მინისტრო, მეორე მსოფლიო ომის ღრმა მოხუც ვეტერანთა დავალებით — მოგმართავთ თხოვნით და ასეთი წინადადების შემოთავაზებით — დაზუსტებულია, რომ მთელ საქართველოში ღრმა მოხუც ვეტერანთა (80-90 წ.) რიცხვი არ აღემატება 3 ათასს (სამი ათასი), ხომ შეიძლება მათ, როგორც გამონაკლისი, თვეში წაემატოთ 50 ლარი. საერთოდ ეს არ შეადგენს დიდძალ თანხას, რომ გამოიყოს ბიუჯეტიდან...

**ღრმა პატივისცემით**
**სიმონ არველაძე**

მეორე მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი, მწერალი, ფილოსოფიის პროფესორი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ქუთაისისა და ვანის საპატიო მოქალაქე.

# ლიტერატურული პერფორმანსი უკარო და უფანჯრო სივრცეში

14 აპრილს, ქუთაისში, „პრესის სახლის“ ვრცელ, უკარო და უფანჯრო სივრცეში გაიმართა უჩვეულო ლიტერატურული პერფორმანსი „ჩვენ დავიბადეთ საქართველოში“. პერფორმანსში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა, პოპულარული, გამორჩეული ხელწერის მქონე პოეტები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან: **გივი ავალიანი, ლია ლიქოკელი, ბექა ახალაია, სოფო გულადაშვილი, გეგა აბულაძე, მერიენ ბაჯელიძე, პაპუნა გიორგაძე.**

ლიტერატურულ საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ჯგუფი **„გზატკეცილის მაწანწალა“.**

ღონისძიება ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით გაიმართა.

ისინი, ვინც არ ცნობენ ჩარჩოებს ხელოვნებაში, ხისგან შეკრული ჩარჩოების თუ გისოსების მიღმა იდგნენ და ლექსებად ყვებოდნენ იმაზე, რაც ტკივათ, აწუხებთ...

ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან — მქუხარედ რიტმული პაპუნა გიორგაძე, თითქოს ნირვანაში მყოფი გივი ავალიანი, დიდგოგოობაზე მოსაუბრე პატარა გოგო ლია ლიქოკელი, ღრმად ინტელქტუალური ბექა ახალია, ეპატაჟური გაგა აბულაძე და მასზე არანაკლებ ეპატაჟური სოფო გულადაშვილი.

14 აპრილი ქართული ენის დღეა. ალბათ, არცთუ შემთხვევით იქნა ეს დღე შერჩეული, არც ის სივრცე, ასე ძალიან რომ ჰგავდა მიტოვებულ ქარხნებს ამერიკული თრილერებიდან. სახელწოდება „ჩვენ დავიბადეთ საქართველოში“ ერთგვარი გასაღები იყო იმ ტექსტებისა, რასაც მონაწილეები კითხულობდნენ. მსმენელთა უმეტესობაც ორიგინალურობით გამოირჩეოდა — გრძელ თმაწვერიანი, საყურებიანი ბიჭები, თმაახოტრილი, პირსინგიანი გოგონები, ძირითადად ერთი თაობის, ორი-სამი ძველი ანდეგრაუნდელიც.

ჩარჩოებს მიღმა (შიგნით) კი ვნებები და ემოციები თანდათან მძაფრდებოდა. თუმცა, იყო შეგრძნება იმისა, რომ მსმენელებამდე ვერ მივიდა ეს ვნებათა სიმძაფრე. ან, თუ მივიდა, საპირისპირო რეაქცია გამოიწვია.

მაგალითად, ექიმმა და პოეტმა მერაბ კვიცარიძემ, „გალიაში წასაკითხი ლექსები“ უწოდა იმას, რაც მოისმინა, მერე ერთი „ნამდვილი“ ლექსიც წაიკითხა და პროტესტის ნიშნად დატოვა შეხვედრა.

ლიტერატურულ პერფორმანსში მონაწილე პოეტები ცდილობენ, თავიანთი სიტყვა თქვან ქართულ პოეზიაში, როგორ და რა გამოუვათ, დრო იტყვის ამაზე.

მათ კი, ვინც გაზაფხულის იმ მშვიდ და თან ბობოქარ საღამოს, ვერ შეძლო საქართველოში დაბადებულთა მოსმენა, შესაძლებლობას გაძლევთ ზოგიერთი მათგანის ლექსი დააჭაშნიკოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

## პაპუნა გიორგაძე

**სულ სხვა ლექსი**

1

დღეს მინდა, რომ საკუთარმა თავმა ღალატში მამხილოს.
დღეს მინდა, ვისაუბრო დედაზე.
დედა მაშინ გავიცანი, როცა მამა მოკვდა.
მერე რა, რომ ამდენი წელია,
ყოველ დღე ერთ ჭერქვეშ გვძინავს,
ერთ საჭმელს ვჭამთ,
მერე რა, რომ ერთი გვაქვს საწერი მაგიდა და ტელევიზორი,
მერე რა, რომ ერთად განვიცდით ფინანსურ პრობლემას,
მერე რა, რომ ვჩხუბობთ, ვლაპარაკობთ ან გვიხარია,
მერე რა.
დედა მაშინ გავიცანი, როცა მამა მოკვდა,
თითქმის ახლახანს.
ცხედართან იდგა,
ყველა ტიროდა,
ის კი იმ ღიმილით აშეშებდა ტუჩებს,
ღიმილით, რომელსაც მხოლოდ მე ვამჩნევდი.
ლაპარაკობდნენ.
არ გამიგონია, დავინახე,
ლაპარაკობდნენ,
ცივი მამა და ცხელი დედა ლაპარაკობდნენ.
თითქმის მივედი და ვკითხე:
დედი, რაო მამამ?
თითქმის მივედი და ვკითხე.
ახლა მტკივა, რომ თითქმის,
რადგან ახლა ვიცი, რომ დედას აღარ ახსოვს ის,
მამამ რაო,
მერე რა, რომ ჯერ არ მოხუცებულა,
მერე რა, რომ არც მამა დავიწყებია და ჩუმად ტირის,
მერე რა, რომ ისევ უყვარს მამა,
მერე რა?!
ახლა ვიცი, რომ აღარ ახსოვს ის, მამამ რაო!
აღარ.

2

ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარს,
ჩვენ ერთმანეთის სიყვარული გვაიძულეს,
ასეა ხოლმე,
ზოგი სიცოცხლეს ვჩუქნით ერთმანეთს,
ზოგიც სიცოცხლეს ვუცვლით,
იმედები კი ანგარებიანი დემონებია,
რომელთა ანგარებასაც ნაადრევად ვააშკარავებთ
და ვამბობთ გულწრფელად,
მერე რა, რომ ერთმანეთის სიკვდილის გვეშინია,
მერე რა, რომ არავის მივცემთ ერთმანეთის
წყენის უფლებას,
მერე რა, რომ არასოდეს ვიწვავთ ბოლო კვერცხს,
მერე რა, რომ სახლში დაგვიანებისას უაზრო მიზეზებს ვიფიქრებთ
და ერთმანეთს ვურეკავთ,
მერე რა?!
ჩვენ ერთმანეთი მაინც არ გვიყვარს,
ჩვენ ერთმანეთის სიყვარული გვაიძულეს.

## გივი ავალიანი

**ვახშამი**

ხეებმა ფოთლები დაიკვნიტეს.
დგახარ ვარდებზე სილით პირში
და აკვირდები ჩემს მუცელს.
ათი დღეა, სისხლით მახატავ
ნაგვის ბუნკერში ნაპოვნ ახალშობილს...
ათი დღეა, არ გძინია.

ხეებმა ფოთლები დაიკვნიტეს
სიმწრის გარეშე,
როცა მსუბუქ ფეხებზე მძიმე ხელებს მიჭერ
და ჩამძახი:
შეხედე, როგორ ჭამენ კატები ბავშვს,
შეხედე, როგორ ჭამენ,
უსმინე მათ კრუტუნს,
უსმინე, დატკბი.

## ლია ლიქოკელი

**გოგოობის კანონი**

პატივცემულო წესრიგის დამცველებო,
დიდი კრძალვით და მცირედი ცახცახით
მოგმართავთ ფრიად დელიკატური თხოვნით,
და იმედია, სწორად გამიგებთ:
როცა ერთ ჩვეულებრივ ზაფხულის დღეს,
ჩვეულებრივ ზაფხულის მზეში
ერთი ჩვეულებრივი გოგო
მარტო დგას ხიდზე,
მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილი
და მღვრიე მდინარეში თვალებს ატივტივებს,
ნუ მიხვალთ მასთან ნაცრისფერი უნიფორმით
და ნუ ჰკითხავთ, აქ რას აკეთებს.
შეიძლება იფიქროს, რომ დამნაშავეა,
შეიძლება, დაფრთხეს და გაფრინდეს.
გასაგებია, რომ თქვენ იცავთ კანონს,
რომ უპირველესია საზოგადოებრივი წესრიგი,
მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ გოგოობის კანონით
ნებისმიერ გოგოს აქვს უფლება,
იდგეს ხიდზე მარტო
ნაშუადღევის მდუღარე მზეში,
დროდადრო წყლისკენ წაიგრძელოს თითები
და თქვენს შეკითხვაზე, გადახტომას ხომ არ აპირებს,
გიპასუხოთ სიჩუმე, —
ყველა დიდმა გოგომ უკვე კარგად იცის,
რომ აკრძალულია
გაზონზე გადასვლა და წყალზე სიარული.
გასაგებია, რომ თქვენ გაქვთ წესები
სპეციალურად გოგოებისთვის,
ზაფხულში ისინი უნდა დადიოდნენ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად
ჭრელ-ჭრელი კაბებით,
კიდევ უფრო სასურველია,
დანარნარებდნენ, როგორც წყვილის ცალები,
ძლიერ მკლავზე დაყრდნობილი მეორე ნახევრები,
ან მეორე ნახევრობის კანდიდატები,
თმას უნდა ისწორებდნენ ნაზი თითებით,
თვალები მინაბონ, როცა ყელში კოცნიან,
და სიყვარულის ჩურჩულით შეკენკილი
პეპლისფრთა საყურეების რხევით
ხიდის თავზე, დაბერილი ღრუბლების ფონზე,
კრუტუნით მიირთვან ბამბის ნაყინი და
ზაფხულის დღეების წებოვანი სიტკბო.
მაგრამ ზოგჯერ გოგოები დადიან
დაბალძირიანი სპორტული ფეხსაცმლით,
იცვამენ ულამაზო, ყელდახურულ მაისურებს,
თმას ცხენის კუდივით გაიკრავენ,
ჩაიწყობენ ზურგჩანთებში ქვებს,
ჩაილაგებენ თვალებში საფიქრებლებს,
დაეხეტებიან ქალაქში,
აკითხავენ ბაღებს და ხიდებს
და წყალში ისვრიან სიჩუმის ანკესებს.
უნდა იცოდეთ, რომ მათ აქვთ უფლება.
აქვთ გოგოებს უფლება,
იყოლიონ საკუთარი თავები,
ასეირნონ საკუთარი ქვები,
არ შეიღებონ თვალები და ტუჩები კოცნით,
არ შეისწორონ თმა და უყვარდეთ ქარი და მტვერი,
უყვარდეთ დაუკრეფავი ყვავილები,
უყვარდეთ ცარიელი ბაღები,
ცარიელი ხიდები,
და ძალიან გთხოვთ, ნუ იქნებით ასეთი სასაცილოები,
რაც საჭიროა იმის კეთების უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო,
ასე ბედნიერი ვერ იქნები, უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო, —
ყველაფერი კარგად იქნება,
ყველაფერი კარგად იქნება, უნიფორმიანო წესრიგის დამცველებო.
გოგოს აქვს უფლება, გიპასუხოთ, რომ აქვს უფლება,
ჰქონდეს ასეთი სახე.
იქნებ, უბრალოდ სახლში დარჩა
ბედნიერი გამომეტყველება,
იქნებ, ჩქარობდა და უბრალოდ დაავიწყდა,
აქ მოსვლამდე ვინმე შეეყვარებინა.
და როცა ზაფხულის მდუღარე მზეში
მარტო დგას ხიდზე,
ნუ მიხვალთ მასთან არაფრისფერი უნიფორმით
და ასეთი ტონით ნუ მიახლით კითხვას,
რატომ უგავს თვალები დამდნარ თაფლის წვეთებს,
რატომ უგავს თითები მოცახცახე ფრთისწვერებს.
იქნებ, არც ახსოვს, რომ გოგოა.
იქნებ, არც ახსოვს, რომ მარტოა.
იქნებ, უბრალოდ ფიქრობს,
მაინც რა შეგრძნებაა,
როცა ხიდის ჩრდილი ხარ,
წყალზე წევხარ, ირწევი,
არც ხარ, არც არ ხარ.

## გეგა აბულაძე

**ანნას**

არასდროს აიღო საჩუქარი საყვარელი ქალისგან,
ისინი ხომ გამუდმებით მიდიან
და გვტოვებენ მოგონებების სამყაროში,
სადაც ნივთები ყოველდღე კვდებიან და ცოცხლდებიან,
ყოველდღე გკლავენ და გაცოცხლებენ,
შენს თვალებში შემოდიან
და კინოფირივით წრეზე ტრიალებენ,
ტრიალებენ და თავბრუს გახვევენ,
ჩერდებიან და გულს გირევენ,
მერე გიმეგობრდებიან,
შენს სულში ცდილობენ შემოღწევას,
ათასგვარ დივერსიულ გეგმებს აწყობენ,
მოულოდნელად თავს გესხმიან,
ხან ფამუქის „მე წითელი მქვია“-დ,
ხანაც მასში მოყოლილ ჭრელ სანიშნედ,
გამუდმებით შარვლის ჯიბეში შენახულ
მეწამულისფერ ინდურ ცხვირსახოცად,
პლაჟზე ნაპოვნი ხისგან გამოთლილ სკულპტურად,
რომელიც შენ ხარ,
სამაჯურებად,
სამყურა ბალახად, რომელსაც ოთხი ყური აქვს
და ვითომ სურვილებს ასრულებს,
ზოოპარკის გალიებში გამომწყვდეულ არწივებად,
მარტოსულ მეთევზედ,
პურის ქარხნის თავზე მდგარ მომაკვდავ ანძად
და იღვიძებენ
და იღვიძებენ
და იღვიძებენ,
იღვიძებენ და კლავენ აწმყოს,
წარსულს მომავლად მიქცევენ,
დამცინიან და არ მეშვებიან,
სარკესთან მაყენებენ
და საკუთარი თავის ანარეკლისთვის მაფურთხებინებენ,
მცდიან და ერთგულებას მეფიცებიან,
კახპებივით კუდში დამდევენ
და ეროგენული ზონებით მანიპულირებენ…
და მე ერთ დღესაც უარს ვიტყვი
ყველა საჩუქარზე,
ყველა წიგნზე,
ყველა სანიშნეზე,
ყველა ცხვირსახოცზე,
ყველა სკულპტურაზე,
ყველა სამყურაზე,
ყველა მეთევზეზე,
ყველა ანძაზე
და ვიცხოვრებ მხოლოდ შენთან ერთად,
ნივთებისა და საჩუქრების გარეშე.

## თანაგრძნობა



კიდევ ერთი კარგი პიროვნება გამოაკლდა ამიერ წუთისოფელს და გადასახლდა იმიერ ქვეყანაში, უჩუმრად განშორდა წუთისოფელს **ბადრი ჭოლაძ**ე.

გამომცემლობა „P.S.“-ის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მის ოჯახს დიდ მწუხარებაში.

შევთხოვთ უფალს, ნათელი დაუმკვიდროს ამ სიკეთით სავსე ადამიანის სულს.